ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 339

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.11.031.048) 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სან გრუპისთვის" (ს/კ 205288650) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.031.048) 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სან გრუპისთვის" (ს/კ: 205288650) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 28 სექტემბრის N38.12.829 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.11.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სან გრუპისთვის" (ს/კ 205288650) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 9000 (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**